გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №91

2023 წლის 9 ივნისი

ქ. გორი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს.ნ 418471031) სახელწოდების შეცვლის თაობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

დღეის მდგომარეობით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს.ნ 418471031) შემადგენლობაში შედის გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილება, რომლის ფუნქციებია:

ა) მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის უზრუნველყოფა და მისი განვითარება.

ბ) არსებული ტურისტული შესაძლებლობების გამოყენების მეშვეობით ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა/პოპულარიზაცია და ვიზიტორებისათვის მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნა.

გ) ანალოგიური ტურისტული ბაზრებისთვის კონკურენციის გაწევა, აღნიშნულ სფეროში განათლების ხარისხის ამაღლება. ინვესტორების მოზიდვა, მომსახურების სფეროს გაუმჯობესება.

დ) ეფექტური პარტნიორობის მეშვეობით, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი კერძო სექტორისადმი დახმარება.

ე) ტურიზმის განვითარების საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში კერძო ბიზნესის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა: საოჯახო სასტუმროები, აგრობიზნესი, ღვინის ბიზნესი, სუვენირების წარმოება/რეალიზაცია და ა.შ. ამ მიზნებით ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

ვ) სხვადასხვა სახის ღონისძიებების მომზადება და ჩატარება, გორის მუნიციპალიტეტში ტურისტების მოზიდვის და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად.

ზ) ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

თ) რეგიონში ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის საინფორმაციო ცენტრების გაფართოება, საინტერესო სერვისების შექმნა, ორგანიზება და მოწყობა.

ი) ტურიზმის ცენტრის მონაწილეობა როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურისტულ კონფერენციებში, გამოფენებსა და ბაზრობებში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაგეგმილი აქვს გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილების (თავისი ფუნქციებით) გადატანა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოში" (ს.ნ 418469516), ვინაიდან ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს" ერთერთ ამოცანას დღეის მდგომარეობითაც წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელწოდებაში სიტყვა „ტურიზმის" დატოვება მიზანშეუწონელი იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული ა(ა)იპ-ის სახელწოდება საკრებულოს მიერაა განსაზღვრული, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ს.ნ 418471031) სახელწოდება - „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო“ შეცვალოს ახალი სახელწოდებით - „გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ს.ნ 418471031) სახელწოდება - „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო“ შეცვალოს ახალი სახელწოდებით - „გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**